# საინფორმაციო ბიულეტინი

- კამპანიები
- ახალგაზდები
- სერვისები
- პარტნიორობა
- მედია ჩვენზე

## იანვარი-მარტი 2018

26 იანვარს, ასოციაცია „ჰერა XXI“-მა ჩაატარა წლიური შემაჯამებელი შეხვედრა სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ში. შეხვედრის მთავარი მიზანი იყო ორგანიზაციის ბორდის ახალი შემადგენლობის დამტკიცება. გარდა ამისა, მოწვეული სტუმრები გაეცნენ ინფორმაციას როგორც ორგანიზაციის მიერ 2017 წელს განხორციელებული პროექტების, ისე მიმდინარე წელს დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

## 2018 წლის კამპანია მშობელთა ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების შესახებ!

თებერვალი „ჰერა XXI“-ში მშობელთა კამპანიების თვე იყო. კამპანიის ფარგლებში შეხვედრები ჩატარდა როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.

კამპანიის მიზანი იყო მშობლებისთვის წარგვედგინა სპეციალურად მათთვის შექმნილი ახალი საიფორმაციო პლატფორმები - ვებ-გვერდი forparents.ge და მობილური აპლიკაცია სახელწოდებით - მშობლებისთვის. ონლაინ-პლატფორმების შექმნის მიზანია მშობლების დახმარება რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის, ასევე, ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ შვილების ინფორმირებაში, ასაკზე მორგებული ფსიქოლოგიური და კულტურული ასპექტების გათვალისწინებით.

თებერვლის პირველ ნახევარში ორი შეხვედრა გაიმართა თბილისში. 4 და 11 თებერვალს სავაჭრო ცენტრ-ისთ ფოინთში „ჰერა XXI“-ის სტენდთან ათობით მშობელმა მოიყარა თავი. გარდა საიტის პრეზენტაციისა, ორგანიზაციის ახალგაზრდული ჯგუფის წევრები და მოხალისეები მათ სთავაზობდნენ მონაწილეობის მიღებას მინი-ვიქტორინაში, რომელიც მოიცავდა თემატურ კითხვებს მოზარდების ჯანმრთელი მომავლისა და კეთილდღეობის შესახებ. მშობლებს, რომლებმაც სწორედ უპასუხეს ჩვენს კითხვებს, გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

23 თებერვლიდან მშობელთა ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების შესახებ კამპანიამ რეგიონებში გადაინაცვლა. პირველი შეხვედრა ჩატარდა ახალციხეში, რომელსაც მშობლებთან ერთად მასწავლებლები და მერიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. აღსანიშნავია, ადგილობრივი მასწავლებლების დამოკიდებულება, რომლებიც აღნიშნავდნენ სასკოლო პროგრამაში რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის შეტანის აუცილებლობას.

კამპანია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში გაგრძელდა. მოზარდთა რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე დაწყებულმა საუბარმა ბევრი კითხვა გააჩინა და დისკუსიაც სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა.

რეგიონული კამპანიის მომდევნო შეხვედრა ხობის მუნიციპალიტეტში ჩატარდა. დისკუსიაზე მშობლებმა და მასწავლებლებმა გაიხსენეს საკუთარი გამოცდილება და ისაუბრეს მოზარდების ინფორმირებულობის მნიშვნელობის შესახებ რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებზე.

მშობელთა ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების შესახებ ბოლო კამპანია გაიმართა წეროვანში. ადგილობრივმა ქალებმა გასაკუთრებით დიდი ინტერესი გამოხატეს რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე.

## რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირება!

მშობლების კამპანიების პარალელურად მიმდინარეობდა ორგანიზაციის ახალგაზრდული ჯგუფის ლიდერების შეხვედრები რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან.

ახალციხის, ხობის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებსა და წეროვანში მცხოვრები ახალგაზრდები გაეცნენ მოხალისეობრივი საქმიანობის მნიშვნელობას; აქტივობებს, რომლებსაც „ჰერა XXI“ მოხალისეთა აქტიური ჩართულობით ახორციელებს; ორგანიზაციის ახალგაზრდული კომპონენტის მუშაობის

გარდა ამისა, ახალციხისა და ხობის მუნიციპალიტეტში „ჰერა XXI“- ის ბაზაზე შეიქმნა ახალგაზრდული ჯგუფები. ახალგაზრდა ლიდერები, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი გადამზადება, უხელმძღვანელებენ რეგიონალურ ახალგაზრდულ ჯგუფებს და უზრუნველყოფენ მოხალისეთა ჩართულობის გაზრდას ორგანიზაციის საქმიანობაში კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში.

## „ჰერა XXI“-ის რეპროდუქტოლოგი წეროვანში!

7 მარტს, ორგანიზაციის ექიმ-რეპროდუქტოლოგი ეწვია წეროვანის ამბულატორიულ ცენტრს.

აქტივობის ფარგლებში ადგილობრივი, ფერტილური ასაკის ქალებს შესაძლებლობა ჰქონდათ კვალიფიციურ სპეციალისტთან გაევლოთ კონსულტაცია რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშორებულ საკითხებზე.

ქალები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ოჯახის დაგეგმვის მეთოდებსა და კონტრაცეფციის თანამედროვე საშუალებების მიმართ.

შეგახსენებთ, რომ „ჰერა XXI“ გთავაზობთ უფასო, კონფიდენციალურ კონსულტაციას ექიმ- რეპროდუქტოლოგთან. თქვენ შესაძლებლობა გაქვთ მეგობრულ და პაციენტისადმი კეთილგანწყობილ გარემოში მიიღოთ კონსულტაცია რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე: სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები და მათი პრევენციის გზები; ოჯახის დაგეგმვა და კონტრაცეფციული საშუალებები და ა.შ.

კონსულტაციაზე ჩასაწერად და დეტალური ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით: (032) 2 14 28 53.

## შეხვედრა „გოგონათა კლუბის წევრებთან დანაშაული სპრევენციის ცენტრში“!

8 თებერვალს, ასოციაცია „ჰერა XXI“-მა ჩაატარა მორიგი საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ბაზაზე შექმნილ „გოგონათა კლუბის“ წევრებთან.

შეხვედრაზე გოგონებს მივაწოდეთ ინფორმაცია რეპროდუციულ ჯანმრთელობაზე, გარდატეხის ასაკში მიმდინარე ფიზიოლოგიურ თუ ფსიქოლოგიურ პროცესებზე, ჯანსაღი ცხოვრების წესზე, ადრეული ქორწინებისა და ორსულობის საფრთხეებზე და ა.შ. - ყველა იმ პრობლემაზე, რაც მათ 14-18 წლის ასაკის გოგონებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საყურადღებოა.

ასოციაცია „ჰერა XXI“ 2015 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ბაზაზე არსებულ მედიაციის სახლში შექმნილ „გოგონათა კლუბთან“.

## მე-9 არხი „ჰერა XXI“-ის შესახებ.

„ახალციხის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და მშობლებმა მოზარდებისთვის მტკივნეული და მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს“ - ამ ფრაზით დაიწყო სამცხე- ჯავახეთის რეგიონალურმა ტელევიზიმ - მე- 9 არხმა - სიუჟეტი ასოციაცია „ჰერა XXI“- ის რეგიონში ვიზიტის შესახებ.

სიუჟეტში საუბარი იყო როგორც კონკრეტულად ახალციხის რეგიონში ჩატარებულ აქტივობებზე, ისე ორგანიზაციის საქმიანობასა და მიზნებზე.

სიუჟეტის ბმული: https://bit.ly/2HtPWxd

სამხრეთის ქარიბჭე

მთავარი | პოლიტიკა | ეკონომიკა | საზოგადოება | სამართალი | SK TV | SK რადიო | გაანალიზება

ახალციხეში მშობლებისათვის შექმნილი ვებ–გვერდის პრეზენტაცია მოეწყო

მთავარი → სიახლე, საზოგადოება 23.02.2018

ასოციაცია „ჰერა XXI“-მა რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის საკითხებზე შექმნილი ვებ–გვერდისა და მობილური აპლიკაციის პრეზენტაცია გამართა.

შეხვედრა დღეს, 23 თებერვალს, ახალციხის ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა. ვებ–გვერდის www.forparents.ge და მობილური აპლიკაციის პრეზენტაციას მშობლები და მასწავლებლები დაესწრნენ.

პრეზენტაციის მიზანს, მშობლებისათვის იმ ინოვაციური პლატფორმის გაცნობა წარმოადგენდა, რომელიც ასოციაციამ სპეციალურად მშობლებისათვის შეიმუშავა, რათა მათ შეძლონ საკუთარ შვილებს ასაკობრივად სწორი ინფორმაცია მიანოდონ რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სქესობრივ მომწიფებასთან დაკავშირებული სხვა თანმდევი საკითხების შესახებ.

**„ახალციხეში მშობლებისთვის შექმნილი ვებ-გვერდის პრეზენტაცია მოეწყო“ -** სწორედ ამ სახელწოდებით გააშუქა სამცხე- ჯავახეთის რეგიონალურმა რადიომ - სამხრეთის კარიბჭე - „ჰერა XXI“-ის ახალციხის მუნიციპალიტეტში ვიზიტი. „შეხვედრაზე საუბარი შეეხო ასოციაცია „ჰერა XXI“-ის მიერ 2017 წელს ჩატარებულ ონლაინ კვლევას, რომელშიც მონაწილეობა 18 წლამდე მოსწავლეებმა მიიღეს. კვლევის მიხედვით, მოზარდებს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე ინფორმაციის მიღება სწორედ ოჯახისგან და სკოლისგან სურთ. სულ 600 მოსწავლე გამოიკითხა.“ - ნათქვამია სამხრეთის კარიბჭის რადიო-სიუჟეტში.

სიუჟეტის ბმული: http://sknews.ge/index.php?newsid=16655

## „ბათუმელები“ „ჰერა XXI“-ის შესახებ.

მთავარი, სიახლეები

ცაგო კახაბერიძე - 24.02.2018

### საინფორმაციო შეხვედრა რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე

Share 30 Like 30 people like this. Be the first of your friends.

ასოციაცია „ჰერა XXI “ 28 თებერვალს, 14:00 დან 15:00 საათამდე, ხელვაჩაურის მერიის შენობაში, საინფორმაციო საგანმანათლებლო შეხვედრას ჩაატარებს. შეხვედრის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მშობლების ინფორმირება რეპროდუქციული ჯანმრთელობის, უფლებებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის სკითხებზე.

15:00 საათიდან 16:00 საათამდე კი ორგანიზაცია „ ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში“ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს შეხვდება, სადაც შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმობა მოხალისეობასა და ახალგაზრდების ლიდერ – აქტივისტებად ჩამოყალიბების მნიშვნელობას.

„ჰერა XXI“-ის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ვიზიტი გააშუქა ჟურნალმა „ბათუმელებმაც“.

„ასოციაცია „ჰერა XXI“- ის ერთ- ერთი სტრატეგიული მიმართულებაა რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, ასევე, ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა საქართველოში.“ - ნათქვამია batumelebi.ge-ზე.

ბმული: http://batumelebi.netgazeti.ge/news/118204/

საინფორმაციო ბიულეტინი მომზადებულია ასოციაცია ჰერა XXI-ს მიერ.

ეწვიეთ ჩვენს ვებ გვერდს HERA-YOUTH.GE ან სოციალურ ქსელ FACEBOOK-ზე ASSOCIATIONHERAXXI

და გაიგეთ უფრო მეტი ჰერა XXI-ს შესახებ ყოველდღიურ რეჟიმში.